პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი
PERIODICAL SCIENTIFIC JOURNAL
ПЕРИОДИЧЕСКИЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ

ISSN 2346-8467

აგრო AGRO АГРО NEWS

№2

ქუთაისი – Kutaisi – Кутаиси
2016

ჟურნალი წარმოადგენს
იმერეთის აგროეკოლოგიური ასოციაციის კავშირისა და
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის
პერიოდულ-სამეცნიერო გამოცემას

სარედაქციო კოლეგია:
ლორთქიფანიძე როზა – (მთავარი რედაქტორი);
ავალიშვილი ნინო (სწავლული მდივანი);
წევრები: ურუშაძე თენგიზი; პაპუნიძე ვანო; შაფაქიძე ელგუჯა; ასათიანი რევაზი; კოპალიანი როლანდი; ჯაბნიძე რევაზი; კინწურაშვილი ქეთევანი; მიქელაძე ალექსანდრე; ჭაბუკიანი რანი; ქობალია ვახტანგი; ფრუიძე მაყვალა; ჩაჩხიანი-ანასაშვილი ნუნუ; დოლბაია თამარი; ყუბანეიშვილი მაკა; კელენჯერიძე ნინო; ყიფიანი ნინო; ხელაძე მაია; კილასონია ემზარი; კევლიშვილი მანანა; ჩხიროძე დარეჯანი; ჯობავა ტრისტანი; წიქორიძე მამუკა; თავბერიძე სოსო; თაბაგარი მარიეტა; კილაძე რამაზი; მეტრეველი მარიამი; ღვალაძე გულნარა; ნემსაძე მარიამი.

სარედაქციო კოლეგიის საზღვარგარეთის წევრები:
იოფფე გრიგორი (აშშ); კავალიაუსკასი ვიდასი (ლიტვა); ჩუხნო ინნა (უკრაინა); ბელოკონევა-შიუკაშვილი მარინა (პოლონეთი); გასანოვი ზაური (აზერბაიჯანი); მამმადოვი რამაზანი (თურქეთი); სანტროსიანი გაგიკი (სომხეთი); საღინდიყოვი ულტემურატი (ყაზახეთი).

**The magazine is a periodical scientific publication of
Imereti Agro-ecological Association and
Akaki Tsereteli State University Faculty of Agrarian Studies.**

EDITORIAL BOARD
Lortkipanidze Roza– (Editor in Chief);
Avalishvili Nino – (Academic Secretary);
Members: Urushadze Tengiz; Papunidze Vano; Shapakidze elguja; Asatiani Revaz; Kopaliani Roland; Jabnidze Revaz; Kintsurashvili Ketevan; Mikeladze Aleksandr; Chabukiani Rani; Qobalia Vaxtang; Fruidze Makvala; Chachkhiani-Anasashvili Nunu; Dolbaia Tamar; Kubaneishvili Maka; Kelendjeridze Nino; Kipiani Nino; xeladze Maia; Kilasonia Emzar; Kevlishvili Manana; Chxirodze Daredjan; Jobava Tristan; Tsiqoridze Mamuka; Tavberidze Coco; Tabagari Marieta; Kiladze Ramaz; Metreveli Mariami; Gvaladze Gulnara; Nemsadze Mariam.

FOREIGN MEMBERS OF EDITORIAL BOARD
Ioffe Grigory (USA); Kavaliauskas Vidas (Litva); Chuxno Inna (Ykraine); Belokoneva-Shiukashvili Marina (Poland); Gasanov Zaur (Azerbaidjan); Mammadov Ramazan (Turkey);Santrosian Gagik (Armenia); Sagyndykov Ultemurat (Kazakhstan).

**Журнал представляет
Периодическое научное издание
Союза агроэкологической ассоциации Имерети и
Аграрного Факультета Государственного Университета Акакия Церетели**

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:
Лорткипанидзе Роза – (главный редактор);
Авалишвили Нино – (Ученый Секретарь**);**
Члены: Урушадзе Тенгиз; Папунидзе Вано; Шафакидзе Элгуджа; Асатиани Реваз; Копалиани Роланд; Джабнидзе Реваз; Кинцурашвили Кетеван; Микеладзе Александр; Чабукиани Рани; Кобалия Вахтанг; Пруидзе Маквала; Чачхиани-Анасашвили Нуну; Долбая Тамар; Кубанеишвили Мака; Келенджеридзе Нино; Кипиани Нино; Хеладзе Маия; Киласония Эмзар; Кевлишвили Манана; Чхиродзе Дареджан; Джобава Тристан; Цикоридзе Мамука; Тавберидзе Сосо; Табагари Мариета; Киладзе Рамаз; Метревели Мариам; Гваладзе Гульнара; Немсадзе Мариам.

ЗАРУБЕЖНЫЕ ЧЛЕНЫ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ:
Иоффе Григори (США); Кавалиаускас Видас (Литва); Чухно Инна (Украина); Белоконева-Шиукашвили Марина (Польша); Гасанов Заур (Азебайджан); Маммадов Рамазан (Турция); Сантросян Гагик (Армения); Сагиндиков Ултемурат (Казахстан)

პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი
PERIODICAL SCIENTIFIC JOURNAL
ПЕРИОДИЧЕСКИЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ

შინაარსი

1 აგრარული მეცნიერებანი
AGRICAL SCIENCES
АГРАРНЫЕ НАУКИ

როლანდ კოპალიანი, ვლადიმერ უგულავა, მარიეტა თაბაგარი, შორენა კაპანაძე – ლავანდი – უნიკალური მცენარე (დამამშვიდებელი და მკურნალი) _____ 9

Roza Lortkipanidze, Nino Avalishvili – PRECIOUS AND COLORED GEMS' CONSERVING TECHNOLOGIES THROUGH IMITATION METHODS _____ 13

გიორგი ნიკოლეიშვილი, ელგუჯა შაფაქიძე – მეაბრუშემობაში ინვესტიციების დაბანდება – დარგის აღორძინების მნიშვნელოვანი ფაქტორია _____ 15

რეზო ჯაბნიძე – სოფლის ცხოვრება პრიორიტეტი უნდა გახდეს _____ 20

ვახტანგ ქობალია – მანდარინის სელექციისათვის საწყისი მასალის ანალიზის შედეგები _____ 29

ემზარ გორდაძე, ცირა ჟორჟოლიანი – საქართველოს მცენარეთა სამყაროს მდგომარეობა, რაციონალური გამოყენებისა და დაცვის პრობლემები _____ 33

როზა ლორთქიფანიძე, ნოდარ ჩხარტიშვილი, ლევან შავაძე – ვაზის ფილოქსერა საქართველოში და მის წინააღმდეგ ბრძოლა ფილოქსერაგამძლე საძირე ვაზით _____ 38

მარიეტა თაბაგარი, შორენა კაპანაძე, ვლადიმერ უგულავა – ლურჯი მოცვის ჯიშების ფენოლოგიური ფაზების მიმდინარეობის შესწავლა სამეგრელოს რეგიონის პირობებში _____ 45

ლეილა ბაზერაშვილი, ლევან შავაძე – ბზის ალურა (Cydalima perspectalis) აღმოსავლეთ საქართველოში _____ 50

ტრისტან ჯობავა – სოკო ფომა ტრახეოფილათი ლიმონ ქართულის, მეიერისა და დიოსკურიას ახალგაზრდა მცენარეების ხელოვნური დასენიანების შედეგები _____ 54

Чачхиани-Анасашвили Нуну, Чабукиани Мэри, Чабукиани Рани – ЭКОНОМИЧЕСКИЕ ПРЕДПОСЫЛКИ СОВЕРШЕНСТВОВАНИЯ ТЕХНОЛОГИЧЕСКОГО ПРОЦЕССА ОПРЫСКИВАНИЯ ПЛАНТАЦИЙ ФУНДУКА _____ 59

ვაჟა თოდუა, ლეილა გიორგობიანი, დალი ბერიკაშვილი, სოფიო ცქვიტაია – ფლავონოიდები, ფენოლები, კუმარინები, ტერპენები და მინერალური შენაერთები ველური ხილის შემადგენლობაში, მათი ჟანგვითი პროცესები და გამოყენება სამკურნალოდ ____ 63

ელენე ხუციშვილი, მზია კურდღელია – ეთერზეთოვანი ვარდის ჯიშების კალმების დაფესვიანების უნარი _____ 72

Nino Kelenjeridze – THE IMPACT OF ORGANIC-MINERAL FERTILIZERS IN VINE LEAVES ON THE CONTENT OF MINERAL NUTRIMENT ELEMENTS _____ 75

ალექსანდრა ჩაფიჩაძე, მაკა ყუბანეიშვილი – იმერეთის ვაზის ჯიშები _____ 77

ცირა ჟორჟოლიანი, ემზარ გორდაძე – მცირერიცხოვანი პოპულაციების სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების პრობლემები საქართველოში _____ 82

ნინო ყიფიანი – სიდერატებისა და მულჩირების გავლენა ციტრუსოვანთა ყინვაგამძლეობაზე _____ 87

მაია ხელაძე – წყლის მიერ მექანიკური მოქმედებით გამოწვეული ეროზიული მოვლენების ზოგიერთი საკითხი. _____ 90

ნუნუ ჩაჩხიანი-ანასაშვილი, ნატალია სანთელაძე – იმერეთის ალუვიურ ნიადაგებზე გაშენებული ფეიჰოას მავნებელ-დაავადებები და მათთან ბრძოლის ღონისძიებები _____ 94

მზია კურდღელია – ფსტის კულტურის პერსპექტივა საქართველოში ___ 97

დემეტრე ლიპარტია – ყავისფერი მარმარა ბაღლინჯო _____101

ნარგიზა ალასანია – აჭარის ზღვისპირა რეგიონში ტემპერატურის გავლენა ლობიოსა და ბამიას აღმონაცენების მორფოლოგიურ მახასიათებლებზე _____104

ნანა გოგიშვილი, ქეთევან კინწურაშვილი – სუბტროპიკული ხურმის მიკრობიოლოგიური გაფუჭების მიზეზების გამოკვლევა ტრანსპორტირებისას _____108

მაყვალა ფრუიძე, ეკატერინე ბენდელიანი, შორენა ჩაკვეტაძე – ჩაის თანამედროვე ნედლეულის გამოკვლევა იმერეთისა და სამეგრელოს რეგიონში _____113

Malkhazi Mikaberidze – POSSIBILITIES AND PROSPECTS OF BLANCHING AGRO RAW MATERIALS IN THE FIELD OF INFRARED RAYS ____119

ეკატერინე ბენდელიანი, მაყვალა ფრუიძე – სვიის - **Humulus lupulus L.**, გავლენა ლუდის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე _____122

Varlam Aplakov – THE ROLE OF WINE BASIC COMPONENTS IN LYSINE BIOSYNTHESIS DURING SECONDARY ALCOHOLIC FERMENTATION _____128

თამარ ხუციძე, ელისო ჩიხლაძე – მწვანე ჩაის 50%-იანი წყლიანი ექსტრაქტის ანტიმიკრობული კვლევა სახის კანის პათოგენურ მიკროორგანიზმებზე 131
მაყვალა ფრუიძე, გიორგი ჩახნაშვილი – ეთერზეთების წარმოების შესაძლებლობები საქართველოში 134
ეთერ ბენიძე, რამაზ კილაძე, იზა ოჩხიკიძე – შუქ-ჩრდილების ურთიერთობები ლანდშაფტურ არქიტექტურაში 139
ეკატერინა გუბელაძე – ქ. ქუთაისში ასათიანის ქუჩის გეგმარება და გამწვანების რეკონსტრუქცია 144
ეთერ ბენიძე, რამაზ კილაძე, იზა ოჩხიკიძე – პერსპექტივის კანონების გამოყენება მწვანე მშენებლობაში 149
მარინა კუცია – ანთროპოგენული ტოქსიკაცია და ეკოლოგიური პრობლემები 154
ქეთევან ქუთელია – მცენარეები ზოდიაქოს ნიშნების მიხედვით 157

2 ბიზნესის ადმინისტრირება
BUSINES ADMINISTRATION
АДМИНИСТРИРОВАНИЕ БИЗНЕСА

ზეინაბ ახალაძე, მანანა შალამბერიძე – სასოფლო–სამეურნეო წარმოების თანამედროვე მდგომარეობა იმერეთის რეგიონში 163
დალი სილაგაძე – საინფორმაციო–საკონსულტაციო სამსახურების მხარდაჭერა რეგიონის ფერმერებს 169

3 ინჟინერია
ENGINEERING
ИНЖЕНЕРИЯ

მერაბ მამულაძე, სოსო თავბერიძე – დიზელის საწვავზე მომუშავე მოტობლოკებში ვიბრაციის გამოკვლევა სხვადასხვა სახის საწვავი ნარევის მიწოდების შემთხვევაში 177
მამუკა წიქორიძე – ნიადაგის მელიორაციის ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრა 183
სოსო თავბერიძე, ემზარ კილასონია, ზურაბ ციბაძე, თეიმურაზ ცხადაშვილი, ნესტან ბურჯალიანი – სატრაქტორო აბრეგატის ძირითადი მახასიათებლების მოდელირების წანამძღვრები სტატისტიკური დინამიკის თეორიის საფუძველზე 186

4 მიმართულებათშორისი დარგები
MULTIDISCIPLINARY BRANCHES
МЕЖДУДИСЦИПЛИНАРНЫЕ ОТРАСЛИ

Изольда Хасая – СЕЛЬСКИЙ ТУРИЗМ, КАК СТРАТЕГИЯ РАЗВИТИЯ РЕГИОНА ИМЕРЕТИ, ГРУЗИЯ _____195

სერგო ცაგარეიშვილი, აკაკი ნასყიდაშვილი, მაია დიაკონიძე – ტურისტულ-რეკრეაციული საქმიანობა იმერეთის რეგიონში _____202

გიორგი ჯაბნიძე – აბროტურიზმის მნიშვნელობა სოფლის მოსახლეობის სოციალურ–ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში _____207

პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი
PERIODICAL SCIENTIFIC JOURNAL
ПЕРИОДИЧЕСКИЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ

4 მიმართულებათშორისი დარგები
MULTIDISCIPLINARY BRANCHES
МЕЖДУДИСЦИПЛИНАРНЫЕ ОТРАСЛИ

პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი
PERIODICAL SCIENTIFIC JOURNAL
ПЕРИОДИЧЕСКИЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ

აგროტურიზმის მნიშვნელობა სოფლის მოსახლეობის სოციალურ–ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში

გიორგი ჯაბნიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს ინჟინერინგის ფაკულტეტის დოქტორანტი, ბათუმი, საქართველო

ტურიზმის მნიშვნელობა დიდია ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. რაც შეეხება აგროტურიზმს იგი გვევლინება ეფექტურ საშუალებად, რათა განაახლოს და გააუმჯობესოს ჩამორჩენილი სასოფლო–სამეურნეო რაიონები. შექმნას ახალი სამუშაო ადგილები, გაიზარდოს სამუშაოს მრავალფეროვნება, მომსახურების დონე და ცხოვრების პირობები. იგი პირდაპირ ზემოქმედებას ახდენს სასოფლო სამეურნეო საქმიანობის განვითარებაზე, ხდება ფერმერებისა თუ სოფლის მოსახლეობის კულტურული ინფორმაციის მიწოდების გაფართოება, პეიზაჟებისა და ბუნების მოვლა, ხალხური რეწვის საქმიანობის განვითარება.

აგროტურისტული საქმიანობის პერიოდში გარდაუვალია გარემოს ცვლილება. ადრეულ წლებში აგროტურისტული საქმიანობის ანალიზის კვლევებს ეთმობოდა მცირე ყურადღება. თანამედროვე პირობებში გარემოს დაცვის პრობლემასა და მის გაუმჯობესებას უკავია მნიშვნელოვანი ადგილი თანამედროვე კვლევებში. აგროტურიზმი ვერ განვითარდება გარემოსთან ურთიერთქმედების გარეშე, მაგრამ მისი განვითარების მართვისა და დაგეგმვის საშუალებით შესაძლებელია შემცირდეს ნეგატიური ზემოქმედება და გაიზარდოს დადებითი.

აგროტურიზმი აუმჯობესებს ქვეყნისა თუ რეგიონის ინფრასტრუქტურას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სხვა ეკონომიკური საქმიანობის ზრდას აგრარულ რაიონებში. საქართველოში აგროტურიზმის განვითარების კარგი პერსპექტივები არსებობს, რომელსაც პოზიტიური როლის შესრულება შეუძლია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. მაგრამ საწყის ეტაპზე მას სახელმწიფო მხარდაჭერა სჭირდება.

ტურიზმის მნიშვნელობა დიდია ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. მის წილად მოდის მსოფლიო შიდა პროდუქტის 10%, ინვესტიციების 11,8%, დასაქმებულთა 10%. ტურისტული ბაზრობისა და სეგმენტების რიცხვი ყოველწლიურად იზრდება, ხოლო ბოლო პერიოდში ამ სფეროში სტრუქტურული ცვლილებებიც აღინიშნება. ტურისტული ბაზრის სეგმენტთა შორის გაფართოვდა რეკრეაციული და ეკოლოგიური მიზნებით მოგზაურობის მსურველთა რიცხოვნობა.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის შეფასებით უახლოესი 15 წლის მანძილზე ტურისტების მხრიდან მოთხოვნა აგროტურისტულ პროდუქტებზე ათეულში მე–6 პოზიციას იკავებს. საქართველოში აგროტურისტული პროდუქტების მდიდარი რესურსული პოტენციალია და მათ გონივრულ გამოყენებას პოზიტიური როლის შესრულება შეუძლია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. აგროტურიზმი კულტურულ ტურიზმთან ერთად ტურისტული პროდუქტების მრავალფეროვნების შექმნისა და ეფექტიანი გამოყენების საფუძველია.

აგროტურიზმი იმყოფება მჭიდრო კავშირში გეოგრაფიის ახალ დარგთან–რეკრეაციულ გეოგრაფიასთან, რომელიც შეისწავლის აგროტურიზმის განვითარების ბუნებრივ–გეოგრაფიულ, კულტურულ–ისტორიულ და სხვა პირობებს.

მრავალმა ქვეყანამ გაითავისა აგროტურიზმის ეფექტურობა და ბევრ ქვეყანაში სახელმწიფო სტრუქტურების მიერ შემუშავებულ იქნა და წარმატებით ხორციელდება სხვადასხვა პოლიტიკა, რომელიც ხელს უწოდებს აგროტურიზმის განვითარებისა და შენარჩუნების კონცეფციას. მაგალითად, ეს საკითხი, გერმანიის ტურისტული ინდუსტრიის მნიშვნელოვან ნაწილად ითვლება და მისი შესწავლის საგანია. დღეს გერმანული მოსახლეობისათვის შვებულების გატარების მთავარი მოთხოვნილება არის დასვენება სოფლის ტერიტორიაზე, სიმშვიდე და რელაქსაცია.

დღითიდღე აგროტურიზმს სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება და იგი ერთ–ერთ პრიორიტეტულ ტურისტულ დარგად გვევლინება ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში. სასოფლო ტერიტორიაზე დასვენების მსურველთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა, მაში როდესაც სასოფლო–სამეურნეო თავისებურებებიდან გამომდინარე სოფლის ტერიტორიების დიდი ნაწილი გამოუყენებელია. ამ მიწების აქტიურად გამოყენება შესაძლებელია აგროტურიზმისათვის (აქვე იგულისხმება ევროკავშირის სასოფლო–სამეურნეო პოლიტიკა).

ყოველივე აქედან გამომდინარე, აგროტურიზმი გვევლინება ეფექტურ საშუალებათ, რათა განაახლოს და გააუმჯობესოს ჩამორჩენილი სასოფლო–სამეურნეო რაიონები. შექმნას ახალი სამუშაო ადგილები, გაიზარდოს სამუშაოს მრავალფეროვნება, მომსახურების დონე და ცხოვრების პირობები. იგი პირდაპირ ზემოქმედებას ახდენს სასოფლო სამეურნეო საქმიანობის განვითარებაზე, ხდება ფერმერებისა თუ სოფლის მოსახლეობის კულტურული ინფორმაციის მიწოდების გაფართოება, პეიზაჟებისა და ბუნების მოვლა, ხალხური რეწვის საქმიანობის განვითარება. აგროტურიზმი აუმჯობესებს ქვეყნისა თუ რეგიონის ინფრასტრუქტურას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სხვა ეკონომიკური საქმიანობის ზრდას აგრარულ რაიონებში.

მსოფლიოს გამოცდილება აჩვენებს, რომ იმ რეგიონებში, სადაც განვითარდა აგროტურიზმი საგრძნობლად გაუმჯობესდა ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური პირობები, იმ მოსახლეობისა, რომელიც ცუდი პირობების გამო იზოლირებულია და ცხოვრობს მიყრუებულ სოფლებში. იმპერიოდში, როდესაც აგროტურიზმმა ზრდა დაიწყო, საკმაოდ რთული იყო აღრიცხულიყო ტურიზმის ამ ნაირსახეობის სტატისტიკა მსოფლიოს მასშტაბებით რადგანაც, ფაქტობრივად მხოლოდ ცალკეული ქვეყნები ახორციელებენ ისეთ სტატისტიკას, სადაც აგროტურიზმის მონაცემები გამოიყოფა ტურიზმის სხვა სახეთა მონაცემებისაგან.

აგროტურისტული საქმიანობის პერიოდში გარდაუვალია გარემოს ცვლილება. ადრეულ წლებში აგროტურისტული საქმიანობის ანალიზის კვლევებს ეთმობოდა მცირე ყურადღება. თანამედროვე პირობებში გარემოს დაცვის პრობლემასა და მის გაუმჯობესებას

უკავია მნიშვნელოვანი ადგილი თანამედროვე კვლევებში. აგროტურიზმი ვერ განვითარდება გარემოსთან ურთიერთქმედების გარეშე, მაგრამ აგროტურიზმის განვითარების მართვისა და დაგეგმვის საშუალებით შესაძლებელია შემცირდეს ნეგატიური ზემოქმედება და გაიზარდოს დადებითი.

თუ გავითვალისწინებთ, რომ დღეს საქართველოში სოფლად მოსახლეობის 47,3% ცხოვრობს, ნათელი გახდება, რომ იაფი და სოფლის ცხოვრების წეს–ჩვეულებების მცოდნე შრომითი რესურსების ეფექტიანი გამოყენებით ქვეყანაში აგროტურიზმის განვითარების მნიშვნელოვანი რეზერვები არსებობს.

მხედველობაშია მისაღები ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც. საქართველოს ტერიტორიის 54,4% ზღვის დონიდან 1000 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. ამ ტერიტორიების უმეტეს ნაწილზე ინტენსიური აგრარული პროდუქტების წარმოების შესაძლებლობები შეზღუდულია. მთისა და მაღალმთიანი ზონის ეკონომიკურ აღმავლობაში ადგილობრივი არაინტენსიური ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოებასა და ტრადიციებს, ფლორასა და ფაუნას, ლამაზ ბუნებრივ საცხოვრებელ გარემოს აგროტურიზმის განვითარებაში გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლია. საქართველოს მთიანეთი სამ რეგიონს–აღმოსავლეთ, ჩრდილოეთ და სამხრეთ მთიანეთს განსხვავებული ტრადიციებით, რესურსული პოტენციალით, სოციალურ–ეკონომიკური პოტენციალით, სოციალურ–ეკონომიკური პირობებით დიფერენცირებული აგროტურისტული პროდუქტების შეთავაზებაც შეუძლიათ მომხმარებლისათვის. ამასთან, მთის რეგიონებისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშან–თვისებების ორიენტაციით კონკურენტული აგროტურისტული პროდუქტების მიწოდება, უკვე შესაძლებელია თანამედროვე ტექნიკური საშულებების გამოყენებით.

ინფრასტრუქტურა, ტურიზმი და სოფლის მეურნეობა არის საქართველოს ეკონომიკის ის სამი პრიორიტეტული მიმართულება, რომელთა საფუძველზე მომავალი ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი გაორმაგდება. აღნიშნული სამი პრიორიტეტული მიმართულება მჭიდრო ურთიერთკავშირშია და ურთიერთზემოქმედებას განიცდის. განსაკუთრებით აღსანიშნავლია ტურიზმის, მათ შორის აგროტურიზმის მულტიპლიკაციური ეფექტი, რომელიც ასტიმულირებს მასთან დაკავშირებულ ისეთ დარგებს, როგორებიცაა: ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, კავშირგაბმულობა, სამომხმარებლო საქონლის წარმოება, სოციალური სფერო და ა.შ. სწორედ ამიტომ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს აგროტურიზმს, რომელიც სოფლის მოსახლეობას არასასოფლო–სამეურნეო საქმიანობის განვითარების შესაძლებლობას აძლევს.

არსებობს აგროტურიზმის მოდელის ფორმირების ორი კონცეფცია. პირველი კონცეფციის თანახმად აგროტურისტულ ბიზნესს აწარმოებენ მცირე ფერმერული და პირადი დამხმარე მეურნეობები საკუთარი ფინანსური და სხვა რესურსების გამოყენებით. რა თქმა უნდა, ასეთი დაფინანსების პირობებში ტურისტთა დიდი ნაკადის მოზიდვა ფაქტობრივად გამორიცხულია, მაგრამ ეს მოდელი ქმნის აგროტურიზმის განვითარების საფუძველს.

მეორე კონცეფცია ითვალისწინებს აგროტურიზმის კომპლექსურ განვითარებას ანუ სოფელში აგროტურიზმი ხდება ბიზნესის წამყვანი სახე, რომელიც უზრუნველყოფს ტურისტის რეკრეაციულ მომსახურებას სოფლის რესურსებისგამოყენების საფუძველზე. ხშირად ეს ორი კონცეფცია ერთი და იმავე პროცესის ორი ეტაპის სახით განიხილება. მაგალითად, ევროპის ქვეყნებში აგროტურიზმი სწორედ ასეთი ეტაპების სახით ვითარდება და მისი განვითარების საწყისი მოტივები ძირითადად სოციალურ ხასიათს ატარებდა, ხოლო სახელმწიფო პოლიტიკა ლოკალური აგროტურიზმის მხარდაჭერაზე იყო გათვლილი. ამის გამო ევროპაში დღესაც აგროტურიზმის მხარდაჭერის სახემწიფო პოლიტიკა ეკონომიკურად ჩამორჩენილ რაიონებზეა ორიენტირებული. ასეთი პოლიტიკის აუცილებლობა, როგორც წესი, განპირობებულია ადგილობრივი აგრარული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის დაკარგვითა და სოფლის მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლებაზე გამიზნული რესტრუქტურიზაციის აუცილებლობით. შესაბამისად, აგროტურიზმი განიხილებოდა და ახლაც განიხილება როგორც ეკონომიკური საქმიანობის ალტერნატიული სახე, რომელსაც ჩამორჩენილი რეგიონების შემოსავლების უზრუნველყოფა შეუძლია.

აგროტურისტული პროექტი საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე უნდა გაიტანონ უპირველესად ტურისტულმა ფირმებმა, რადგან სოფლის მოსახლეობას ჯერჯერობით არა აქვს პირდაპირი მარკეტინგის, უცხოეთში რეკლამის დაფინანსების, ან ინტერნეტით პროდუქტის გაყიდვის საშუალება. ამ თვალსაზრისით საჭიროა გათვალისწინებული იქნას შემდეგი პრიორიტეტები:

1.აუცილებელია აგროტურისტული პროფილის ტუროპერატორის არსებობა. თანახმად არსებული პრაქტიკისა ქართული ტურისტული ფირმების უმრავლესობა უნივერსალურობისაკენ მიისწრაფვის. მათ არ გააჩნიათ სურვილი ერთი რომელიმე სეგმენტის სპეციალისტად იწოდებოდნენ, რაც ხელს უშლის პროფესიონალიზმს და შესაბამისად ტურისტული პროდუქტი საერთაშორისო ბაზარზე მოუმზადებელი გადის. მოუმზადებლობაში ვგულისხმობთ უცხოელი ტურისტის მოთხოვნილებების არასრულყოფილად ცოდნას, რის გამოც მიწოდებული პროდუქტი არ შეიცავს მოსალოდნელ მომსახურებას;

2. აგროტურისტული პროდუქტი უნდა იყოს იაფი, რადგან ძირითადი მოტივაცია სოფლის ტურიზმისა არის იაფად, ნაკლები კომფორტით, მაგრამ ეკოლოგიურად სუფთა და სასიამოვნო გარემოში დასვენება. ეს გარემოება განსაკუთრებით საგულისხმოა საქართველოს პირობებში, რადგან დამწყები ბიზნესმენები გატაცებული არიან მაღალპროცენტიანი მოგების მიღებით;

3. აგროტურიზმისათვის შერჩეულ სოფლებში უნდა ჩატარდეს საინფორმაციო–სააგიტაციო სამუშაოები ტურიზმის როლისა და ადგილის შესახებ ადგილობრივ დონეზე. უნდა მოხდეს სოფლის მოსახლეობის და მმართველობითი რგოლის მომზადება ტურისტების მისაღებად;

4. აგროტურიზმისათვის სოფლებში კონკრეტული მასპინძლის შერჩევისათვის ტურისტულ ფირმებს უნდა ჰქონდეთ აუცილბელი პირობების ჩამონათვალი, რომელთა დაკ-

მაყოფილების შემდეგ კონკრეტული სახლი შევა განთავსების საშუალებათა ნუსხაში. ეს პირობებია: ადგილის უსაფრთხოება, ლამაზი ბუნება და ლანდშაფტი: ტყის, მდინარის, ტბის, ან სამკურნალო წყლის არსებობა; სასურველია გლეხის კარმიდამოს გააჩნდეს ეროვნული სახე და ინფრასტრუქტურის შემდეგი ელემენტები: ცალკე საძინებელი, საშხაპე და ტუალეტი. მასპინძლის ოჯახში კვების საშუალება, უცხოელი ტურისტები დიდ ყურადღებას აქცევენ სოფლებში ისტორიული ძეგლებისა და სხვა ღირშესანიშნაობის არსებობას, საცხოვრებლის სიახლოვეს რესტორნის, ტავერნის, ან ეროვნული კერძების სამზარეულოს არსებობას;

5.გამოცდილების უქონლობის გამო სირთულეს წარმოადგენს აგროტურისტებისათვის სპეციალური პროგრამის შედგენა, რომელშიც გასათვალისწინებელია შემდეგი: სოფელში დამსვენებლები ძირითადად 2–4 კაციანი უცხოელთა ოჯახებია. მათთვის დასვენების ორგანიზაციებისათვის გასათვალისწინებელია შეთავაზებები ოჯახის თითოეული წევრისათვის ცალცალკე: მამაკაცისათვის ეს შეიძლება იყოს ნადირობა, თევზაობა, ცხენით ჯირითი, თიბვა ქართველ მასპინძელთან ერთად. დიასახლისისათვის ქსოვა, ქარგვა, კერძების მომზადება. სასურველია ბავშვებიანი ოჯახის ჩამოსვლის შემთხვევაში მასპინძელ ოჯახში იყოს დაახლოებით იმავე ასაკის ბავშვები. უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მასპინძლების მიერ საკომუნიკაციოდ აუცილებელი უცხო ენის ცოდნას;

6.საინფორმაციო–სარეკლამო მასალების დამზადება უნდა მოხდეს საზღვარგარეთული ანალოგების გათვალისწინებით (კვიპროსი, ბულგარეთი და სხვ.), როგორც წესი, სოფლის ტურიზმის სარეკლამო მასალები უხვად არის ილუსტრირებული გლეხის კარ–მიდამოს ამსახველი ფერადი ფოტოები, მიმღები რაიონების შესახებ ვრცელი ინფორმაცია, განსაკუთრებით, ადათ–წესებისა და ტრადიციების შესახებ, აგროტურისტული პროდუქტის გასაღების ერთ–ერთი საშუალებაა სპეციალიზირებული ბაზრობები, აგრეთვე ის ბაზრობები, სადაც მომხმარებლები ჭარბობენ პროფესიონალებს.

საქართველოში აგროტურიზმის განვითარების კარგი პერსპექტივები არსებობს, მაგრამ საწყის ეტაპზე მას სახელმწიფო მხარდაჭერა სჭირდება და ეს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიაში უნდა აისახოს. აგროტურიზმშისახელმწიფო მხარდაჭერა შეიძლება ითვალისწინებდეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში აგროტურიზმის განვითარების პოტენციალის შესწავლას, ადგილობრივი და უცხოელი ტურისტების მოთხოვნილებების შესწავლას, აგროტურიზმის განვითარებით დაინტერესებული ოჯახების ინფორმაციულ უზრუნველყოფას, მათ მომზადებას ტურისტების მისაღებად და აუცილებელი პირობების გაცნობას, საერთაშორისო ბაზარზე ტურისტული პროდუქტის რეკლამირებას და სხვა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მ. მეტრეველი – ტურიზმი. 2003.
2. ვ. შუბლაძე – ტურიზმის როლი და მნიშვნელობა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში. ჟურნ. „ფინანსები“, კვლევითი დეპარტამენტი. 2009.
3. ე. ხარაიშვილი – საქართველოს აგროტურისტული პროდუქტების კონკურენტუნარიანობა. სა-

ერთ. სამეც. კონფე. „ეკონომიკა და ბიზნესი“, ბათუმი, 2010.
4. რ. ჯაბნიძე - სასოფლო სამეურნეო ეკოლოგია. ბათუმი, 2013.

PLANING OF AGRO TOURISM IN GEORGIA AND ITS SUSTAINABLE DEVELOPMENT

Giorgi Jabnide
Georgian Technical University Doctor of Business-Engineering, Batumi, Georgia

Summary

Sustainable tourisms provides fair distribution of incomes and expenses.

Products of agro tourism should be exported to international market mainly by tour agencies, because the population can not afford direct marketing, financing the advertisement abroad or purchasing products on the internet.

The existence of tour operation is necessary.

Agro tourist product should be affordable because main motivation of rural tourism is a relaxation with les comport but environmentally clean and nice atmosphere.

In order to select villages and host for agro tourism tour agencies should have a list of necessary conditions after satisfying of which the specific house will be included in the list of accommodation means. These means include: Place safety, beautiful nature, landscape. It is desirable that the house and yard of the peasant had a national image and the following elements of infrastructure: separate sleeping-room, and a toilet. Foreign tourist pay a great attention to the existence of historical building and other sightseeing in the village.

Informational – advertisement material should be prepared by taking consideration of foreign analogues

ЗНАЧЕНИЕ АГРОТУРИЗМА В РЕШЕНИИ СОЦИАЛЬНО-ЭКОНОМИЧЕСКИХ ПРОБЛЕМ СЕЛЬСКОГО НАСЕЛЕНИЯ

Джабнидзе Гиоргий
Грузинский технический университет, Докторант факультета Бизнес-инженертига, Батуми, Грузия

Резюме

Туризм имеет большое значение в развитии любой страны. Что касается агротуризма, то он представляет эффективное средство для того, чтобы обновить и улучшить остальные сельскохозяйственные районы. Создать новые рабочие места, увеличить разнообразие работы, уровень обслуживания и условия жизни. Это напрямую влияет на сельскохозяйственное развитие, происходит предоставление расширенной культурной информации о фермерах или сельском населении.

В период агро-туристической деятельности неизбежным является изменение окружающей среды. В прежние года мало внимания уделялось анализу исследования агротуристической деятельности. В современных условиях проблема охраны окружающей среды и улучшение ее состояния занимает важное место в современных исследованиях. Агротуризм не сможет развиваться без взаимодействия с окружающей средой, но без помощи развития управления и планирования невозможно уменьшить негативное влияние и увеличить положительное.

Агротуризм улучшает инфраструктуру страны и регионов, что в свою очередь способствует развитию экономической деятельности в аграрных районах. В Грузии существуют большие перспективы по развитию агротуризма, которые могут позитивно повлиять на экономическое развитие страны. Но на начальном этапе оно нуждается в поддержке государства.